გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2018-2019 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაშიმონაწილეობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
   „მრავალშვილიანი ოჯახების მცირე ბიზნესის ხელშეწყობის“ პროგრამა.

2. **თემატიკა:**
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება ჩამონათალის მიხედვით)

„მრავალშვილიანი ოჯახების მცირე ბიზნესის ხელშეწყობის“ პროგრამა საშუალებას იძლევა:
- განხორციელდეს მრავალშვილიანი ოჯახების დასაქმების ხელშეწყობა და გაუმჯობესდეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
- გენდერის ჭრილში, მრავალშვილიანი დედების დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას ოჯახში;
- მრავალშვილიანი მშობლების ჩართულობით განხორციელდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერება.
- დაინერგოს მრავალშვილიანი მშობლების ანგარიშვალდებულებს პრაქტიკა მუნიციპალიტეტის წინაშე.

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
(განაცხადის შემვსების მონაცემები: სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა))

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- ნინო თვალთვაძე, ტელეფონი 593602563, ელექტრონული ფოსტა - nino.tvaltvadze@kutaisi.gov.ge

4. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

„მრავალშვილიანი ოჯახების მცირე ბიზნესის ხელშეწყობის“ პროგრამა

საქართველოში არსებული მძიმე დემოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებთ ჯერ კიდევ 2005 წლიდან ფუნქციონირებს „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა ქალაქ ქუთაისში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება.

ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა 2002-2018 წლების შუალედში შემცირდა 182.4 ათასიდან 141 ათასამდე[1] - 23%-ით შემცირდა.

საერთაშორისო კვლევებით (UNICEF), ქვეყანაში არსებული უმუშევრობის და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი განაპირობებს გარკვეული რაოდენობის 0-16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ბავშვების

[1] წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური.

უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრებას. რაც პირდაპირ ზრდის მიუსაფარი, ქუჩაში მცხოვრები და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რაოდენობას. განსაკუთრებით მაღალია მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანი ბავშვების ამ ჯგუფში მოხვედრის რისკი. მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, თავის მხრივ პირდაპირ პროპორციულად აისახება მათი შვილების კეთილდღეობაზე, ჯანმრთელობის, განათლების, კვების და სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგების კუთხით.

წლების განმავლობაში, „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ **პროგრამის მიზანს** წარმოადგენდა ქ. ქუთაისში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამის მიზანი არ იცვლებოდა, იცვლებოდა სამიზნე ჯგუფის შერჩევის კრიტერიუმი, გასაცემელის ფორმა და რაოდენობა.

2018 წელს მუნიციპალიტეტმა **„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“** პროგრამის რეგულირების ზეგავლენის შეფასება განახორციელა. **„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“** პროგრამის მიზანი ჩამოყალიბდა ახალი ფორმულირებით: მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა, ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების კუთხით.

მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერების მიზნით, 2019 წლის ბიუჯეტში ახალი ინიციატივა დაინერგა, მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის წამოწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღების დაფინასება /თანადაფინასების სახით. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ახალი შეთავაზება განხილული იქნა გენდერულ ჭრილშიც. აღნიშნულ პროექტში მრავალშვილიანი დედის ჩართულობა ხელს შეუწყობდა მისი დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას ოჯახში. ინიციატივა მიზნად ისახავდა მრავალშვილიანი მშობლებისათვის საკუთარი თავის ნდობის, სტიმულის და მოტივაციის ამაღლებას. მცირე ბიზნესის პროექტების წერის საფუძვლებში და მცირე ბიზნესის მართვის საკითხებში საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ჩატარებული ტრენინგ-კურსის გავლის შემდეგ მიღებული ცოდნა და გამოცდილება მომავალში გამოეყენებინათ ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პროექტებში.

პროექტის ფარგლებში, კონკურსის წესით გამოვლინდა 7 გამარჯვებული, აქედან, 6 მრავალშილიანი დედის პროექტი. მნიშვნელოვანი ფაქტორი-გამარჯვებული ბიზნეს გეგმები დაფინანსდა საჭირო აღჭურვილობის შეძენის კუთხით და არა თანხის გადაცემით.

5. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

(ძირითადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ.)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი. ქალაქის მოსახლეობა 138.2 ათასი კაცია (საქართველოს მოსახლეობის 4 %). ქუთაისში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1კვ.კმ.-ზე შეადგენს 2103 კაცს, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებზე ბევრად მაღალია. მოსახლეობის საშუალო ასაკი 38,8 წელია, სიცოცხლის საშუალო ასაკი შეადგენს 72.9 წელს, ქალებისათვის ეს მაჩვენებელი - 77.2 წელია, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში 68.6 წელი. ქალაქად მაცხოვრებელი მოსახლეობის წილი მთელს მოსახლეობაში 100%. მიგრაციის შედეგად, 1989 წელთან შედარებით, ქუთაისის მოსახლეობა 36%-ით შემცირდა. 2014 წლის მდგომარეობით ქუთაისიდან ემიგრირებულად ფიქსირდება 52 414 ადამიანი. ქუთაისი ტერიტორიული სიდიდის მიხედვით საქართველოს რიგით მეორე ქალაქია დედაქალაქის შემდეგ და მისი ფართობი 70 კვ.კმ-ია. იგი საქართველოს ყველა სტრატეგიულ ადგილთან საგზაო ქსელის მეშვეობითაა დაკავშირებული. მგზავრობის ხანგრძლივობა შეადგენს: ბათუმის პორტამდე - 2:20 სთ. (139 კმ.), ფოთის

პორტამდე - 1:15 სთ. (105 კმ.), ხოლო ანაკლიის პორტამდე - 2:00 სთ. (123 კმ.), დედაქალაქამდე - 3 სთ. (225 კმ.), მთავარი სარკინიგზო სადგურამდე 15 წთ. (10 კმ.), ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტამდე 20 წთ. (18 კმ.).

6. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

მუნიციპალიტეტის თუ სახელმწიფო დონეზე არსებული ფაქტორები გარკვეულ წილად გავლენას ახდენენ **„მრავალშვილიანი ოჯახების მცირე ბიზნესის ხელშეწყობის“ პროგრამის** განხორციელებაზე.

მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოს ჩართულობა მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერების კუთხით. 2019 წელს პირველად განისაზღვრა მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი, თუმცა აღნიშნულ ქმედებას არ მოყოლია სოციალური პროექტები.

ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობა, მძიმე დემოგრაფიული მონაცემები და გაზრდილი მიგრაცია წარმოქმნის მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სერვისის მიწოდების საჭიროებებს.

არასმთავრობო სექტორის ჩართულობის სიმწირე, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სერვისის მიწოდების კუთხით.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**

„მრავალშვილიანი ოჯახების მცირე ბიზნესის ხელშეწყობის“ პროგრამა

„მრავალშვილიანი ოჯახების მცირე ბიზნესის ხელშეწყობის“ პროგრამის განხორციელების მიზნით, პირველ რიგში საჭირო გახდა სამართლებრივი კუთხით სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება:

ქ.ქ უთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების საფუძველზე:

- გამოცხადა მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება-გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი პროექტების დაფინანსება /თანადაფინანსების კონკურსი და შეიქმნა დროებითი კომისია;
- შეიქნმა მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება-გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კონკურსის დროებითი საკონკურსო კომისიის დებულება;
- დამტკიცდა მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება-გადაიარაღების განხორციელების მიზნით, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება /თანადაფინანსების პირობები;
- შემუშავდა და დამტკიცდა საკონკურსო პროექტების განაცხადის ფორმა
- დამტკიცდა დროებითი კომისიის მიერ კონკურსის წესით გამოვლენილი ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია.

კონკურსის წესით გამოვლენილ, ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართულ -ააიპ „მეწარმე ქალთა ფონდ“-თან გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი.

პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე, ააიპ „მეწარმე ქალთა ფონდ“-ი დაუკავშირდა ქუთაისში მცხოვრებ 543 მრავალშვილიან ოჯახს, რომლებსაც 4 და მეტი შვილი ჰყავთ. მოახდინეს თითოეული ოჯახის ინფორმირება არსებული ინიციატივის შესახებ. აქედან, 82 მრავალშვილიანი ოჯახის წევრმა გამოთქვა ქვეპროგრამაში ჩართულობის სურვილი და შეავსო ააიპ „მეწარმე ქალთა ფონდ“-ის მიერ შემუშავებული ანკეტა.

მცირე ბიზნესის პროექტების წერის საფუძვლებში და მცირე ბიზნესის მართვის საკითხებში საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ტრენინგ კურსი გაიარა და სერთიფიკატი მიიღო 24 მრავალშვილიანი ოჯახის წევრმა, დედა, მამა და **სრულწლოვანი შვილი.**

24 სერთიფიცირებული პირიდან, კონკურსში მონაწილეობის მიზნით, ბიზნეს გეგმა წარადგინა 19 მონაწილემ.

ააიპ „მეწარმე ქალთა ფონდ"-ის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისისის მიერ, რომლის შემაგდენლობაში არ შედიოდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, შეირჩა 7 გამარჯვებული პროექტი. აქედან, 2 პროექტი დაფინასდა სრულად, ხოლო დანარჩენი 5 პროექტის შემთხვევაში მოხდა თანადაფინანსება.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 33 000 ლარს.

8. მიღწეული შედეგი:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ

„მრავალშვილიანი ოჯახების მცირე ბიზნესის ხელშეწყობის" პროგრამა

მიმდინარე ეტაპზე, პროექტის შეფასების პროცესში სახეზეა:

- პროგრამაში მონაწილე ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება;
- ბიზნესის გაფართოება, მომსახურების მრავალფეროვნების გაზრდის თვალსაზრისით;
- დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა. ბიზნესის წარმოებაში ჩაერთო არა მხოლოდ მრავალშვილიანი ოჯახების მშობლები, არამედ სრულწლოვანი შვილები.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

„მრავალშვილიანი ოჯახების მცირე ბიზნესის ხელშეწყობის" პროგრამა

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება ხორციელდება არა ერთჯერადად, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვალისწინებით.

სოციალური სამუშაოს წარმატებით განხორციელების და შესაბამისი კადრის მომზადების მიზნით, ხორციელდება თანამშრომლების ჩართულობა სპეციალურ ტრენინგებში.

10. საკრებულოს როლი:

საკრებულოში არსებული ფრაქციების და კომისიების მიერ, დადებითი და ურყოფითი ფაქტორების გათვალისწინებით, ახალ ინიციატივებზე მუშაობა და საბოლოო პროგრამის სახით ჩამოყალიბება.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

„მრავალშვილიანი ოჯახების მცირე ბიზნესის ხელშეწყობის“ პროგრამის განხორციელების დროს გამოკვეთილი დადებითი მხარის გათვალისწინებით, 2020 წელს მუნიციპალიტეტი გეგმავს ბიუჯეტის გაზრდას და ის განისაზღვრება 60 000 ლარით.

ამავდროულად საქართველოს კანონის -„სოციალური მუშაობის“ შესახებ, შესაბამისად მუნიციპალიტეტი გეგმავს მოახდინოს თანამშრომლების მომზადება სოციალური მუშაკის უნარ-ჩვევების გაძლიერების კუთხით.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

(აქ მოცემული უნდა იყოს იმ პირების საკონტაქტო მონაცემები (სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა), რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს)

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- ნინო თვალთვაძე, ტელეფონი 593602563, ელექტრონული ფოსტა - nino.tvaltvadze@kutaisi.gov.ge.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი-იოსებ ჩიჯავაძე, ტელეფონი 599505037, ელექტრონული ფოსტა: socialuri.kutaisi@kutaisi.gov.ge

სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამსახურის უფროსი-ნინო ჭიღლაძე, ტელეფონი 591919561, ელექტრონული ფოსტა: nchighladze@ssa.gov.ge

ააიპ “INER Georgia - წყვილისა და სიცოცხლის სამსახურში“
ტელ: 0431 24 5675
ელექტრონული ფოსტა: inergeo@yahoo.it
პროექტის მენეჯერი: ლალი ჩარკვიანი

„ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ ქუთაისი

ტელ: 0431 234069
ელექტრონული ფოსტა: Lela.barabadze@sos-kd.ge
ხელმძღვანელი: ლელა ბარაბაძე

World Vision საქართველოს იმერეთის ოფისის

ტელ: 0431 24 15 51.
ელექტრონული ფოსტა: davit_chkhobadze@wvi.org
ხელმძღვანელი: დავით ჩხობაძე

საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“

ტელ: 595 12 87 85
ელექტრონული ფოსტა: loredana.monetti@caritas.ge
ხელმძღვანელი: ნანა მიზანდარი

ააიპ „მეწარმე ქალთა ფონდი“

ტელ:0431272902
ელექტრონული ფოსტა: meri_gelashvili@yahoo.com
ხელმძღვანელი: მერი გელაშვილი

13. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

„მრავალშვილიანი ოჯახების მცირე ბიზნესის ხელშეწყობის“ პროგრამის დანართი-4 დოკუმენტი.